



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №107/19¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ლამარა თელიაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოპასუხე მხარის ადვოკატი ცილისწამებით, მოტყუებით, ყვირილით და თაღლითურად შედგენილი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. ცილისწამებასთან ერთად ტყუილებით ცდილობდა მისი კლიენტის ინტერესების დაცვას, რადგან ადვოკატის თქმით კლიენტი გარკვეულ პირობებს ასრულებდა დავის მიმდინარეობის დროს, სინამდვილეში მოწინააღმდეგე მხარე არანაირ მოქმედებებს არ ასრულებდა. ადვოკატის განმარტებით, მომჩივანის პრეტენზია, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ცილისწამებას, ყვირილს, არის უსაფუძვლო ბრალდება.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქცევა შეამოწმა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლის ფარგლებში, ეთიკის კომისია აღნიშნავს რომ, ადვოკატს როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება. ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები ასევე მჭიდრო კავშირშია მორალური და ზნეობრივი ქცევის წესებთან, ვინაიდან ადვოკატის ამორალური და არაზნეობრივი საქციელი შესაძლებელია გახდეს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის პრეტენზია გამომდინარეობს პროცესის მონაწილე პირის მიმართ ადვოკატისთვის დადგენილი ვალდებულებიდან, რა დროსაც ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილე პირის, მათ შორის მისი კლიენტის, მოწინააღმდეგე მხარის უფლებები, გამოიჩინოს პატივისცემა და საკუთარი აზრის გამოხატვისას იყოს კორექტული. სასამართლო სხდომის ოქმიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატს არ აქვს საჩივრის ავტორის მიერ აღნიშნული სიტყვები წარმოთქმული. იგი საჩივრის ავტორს უმარტავდა გამიჯვნისა და საზიარო უფლებების მნიშვნელობას, ადვოკატმა სხდომაზე წაიკითხა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება საზიარო უფლებების შესახებ, რასაც მოჰყვა ადვოკატის შეფასება შემდეგი სიტყვებით: „საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ეგ წერია, თქვენ საწინააღმდეგო რამე წაიკითხეთ“. ადვოკატის მიერ წარმოთქმულ ამ ფრაზას არაეთიკურად ვერ განვიხილავთ, ვინაიდან ამ ფრაზის წარმოთქმას არ შეეძლო პროცესის მონაწილე პირის უფლებების დარღვევა.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ვერ აღმოაჩინა ადვოკატის ქცევაში ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 9.4 მუხლის შესაძლო დარღვევა და უარი თქვა დისციპლინური ღევნის აღებრაზე.

¹ <https://gba.ge/pdf/5e5f597ee8906.pdf/107.19%2012.11.2019%20ar%20agdzvra.pdf>